GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

In hoc signo vinces

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფსიქოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Psychology

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 კრედიტი

**სწავლების ენა:** ქართული

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**პროგრამის მიზანი:**

**ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგი 5 მიზნის მიღწევაზეა მიმართული:**

- შესძინოს ფსიქოლოგიის ბაკალავრს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის საბაზისო დარგებში (კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგიაპოლიტიკური ფსიქოლოგია და სხვა)კერძოდ, საფუძვლიანად შეასწავლოს ფსიქოლოგიისდარგებში არსებული თეორიები და მოდელების შესახებ, რათა შეძლოს მათი გაანალიზება და ურთიერთშედარება ფსიქოლოგიური კონსტრუქტების (ცნებითი აპარატის) გააზრება და შესაბამის კონტექსტში მათი გამოყენება, თეორიული და ემპირიული კვლევების კრიტიკული ანალიზი და შედარება
- შესძინოს ფსიქოლოგიის ბაკალავრს ფართო ცოდნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში (ორგანიზაციული, განათლების, იურიდიული ფსიქოლოგია და სხვა). შეასწვალოს ამ დარგებში არსებული მოდელები და ემპირიული კვლევები, რათა ბაკალავრმა შეძლოს მათი გაანალიზება და კრიტიკული შეფასება. გამოუმუშავოს პრატიკული უნარ ჩვევები, რაც გულისხმობს შესწავლილი კონსტრუქტების და მიდგომების მისადაგებას კონკრეტული ცხოვრებისული პრობლემების მიმართ და პრობლემის გადაჭრის შერჩეული გზების მართებულობის დასაბუთებას.
- გამოუმუშავოს ბაკალავრს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.
- შესძინოს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კვლევის მეთოდების (სტატისტიკა და სხვა მეთოდები) გამოსაყენებლად.
- გამოუმუშავოს ბაკალავრს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთავის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, უცხო ენად აქვს ჩაბარებული ინგლისური.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: უცხო ენა – ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

**<u>სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:</u>**

**ცოდნა და გაცნობიერება:**
ბაკალავრი სიღრმისეულად ფლობს ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ თეორიულ მიდგომებსა და ძირითად ცნებებს, იცის მოცემული ცნებებისა და კონსტრუქტების დეფინიცია და მათი გამოყენების კონტექსტი; იცნობს დარგის განვითარების ისტორიას და თანამედროვე მიმდინარეობებს; სხვადასხვა ფსიქოლოგიური კურსის შესწავლის საფუძველზე, აღწერს ფსიქოლოგიის მიმართულებებს, აცნობიერებს დარგის პრობლემატიკას და კომპლექსურ საკითხებს; აყალიბებს და მიმოიხილავს ფსიქოლოგიური კვლევის ბაზისურ მეთოდებს, იცნობს შესაბამის მეთოდოლოგიას.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**
პრაქტიკაში იყენებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დისციპლინის (კოგნიტური, პიროვნული, სოციალური, იურიდიული და დევიაციური, ორგანიზაციული, პოლიტიკური) ფარგლებში შეძენილ ცოდნას;
კონსულტაციის პირობებში ახერხებს პრობლემის იდენტიფიკაციას და პოულობს ადეკვატურ გზებს პრობლემების მოსაგვარებლად;
წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ბაკალავრი გეგმავს და ახორციელებს სასწავლო ხასიათის პროექტს და მის ცალკეულ კომპონენტებს: იძიებს საჭირო მასალას, აფასებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.

**დასკვნის უნარი:**
ბაკალავრი ადარებს ერთმანეთს ფსიქოლოგიურ მიდგომებს, თეორიებს/მოდელებს და გამოაქვს დასკვნა მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; ბაკალავრი უსადაგებს ერთმანეთს ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში მიღებულ ცოდნას და მისი სინთეზირებისა და კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირების მეშვეობით; ითვისებს აბსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების უნარს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გაიაზროს და გაანალიზოს მიღებული ინფორმაცია, განსაზღვროს ფსიქოლოგიის მეცნიერებისა და მისი მომიჯნავე სფეროების აქტუალური ამოცანები და მათი ზოგადი კონტექსტი, სხვადასხვა კუთხიდან შეხედოს ერთსა და იმავე მოვლენასა თუ კონცეფციას.

**კომუნიკაციის უნარი:**
ბაკალავრი წერილობითი და ზეპირი ფორმით გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს ფსიქოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით; გადმოსცემს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს; ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას კოლეგებთან, გადასცემს ინფორმაციას როგორც სპეციალისტებს, ასევე არასპეციალისტებს მშობლიურ და ინგლისურ ენებზე; კომუნიკაციის პროცესში სწორად იყენებს ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას.
ბაკალავრი ითვისებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და ეფექტურად იყენებს მათ. ბაკალავრი აქტიურად მონაწილეობს ფსიქოლოგიურ თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

**სწავლის უნარი:**
ბაკალავრი სწავლას მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართავს; ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.
ბაკალავრი აფასებს სწავლის პროცესს, სწავლის შედეგებს და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; ბაკალავრი ისწარფვის საკუთარი ცოდნას განახლებისა და პროფესიული ზრდისკენ.

**ღირებულებები:**
ბაკალავრი აღიარებს და პატივს სცემს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და კულტურულ მრავალფეროვნებას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს; მოქმედებს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით; აღიარებს გენდერული ასპექტის და თანაბარი შესაძლებლობების მნიშვნელობას;
ბაკალავრი იღებს ეთიკურ გადაწყვეტილებებს, მოქმედებს კოლეგიალურად და სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას; იცავს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს ; იცავს გამოკითხვისა თუ კვლევის ეთიკის სტანდარტებით გათვალისწინებულ გამოკითხვის/კვლევის ობიექტის ნების თავისუფლებას და მის უვნებლობას; კორექტულად გამოთქვამს და იღებს კრიტიკას; პატივს სცემს საავტორო უფლებებს და უარყოფს პლაგიატს.

## მიზნების და შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და გადის შვიდ (7) მაჩვენებელზე, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საკვანძო კომპეტენციებს – როგორც დარგობრივს, ისე ზოგადს. ეს მაჩვენებლებია: ცოდნა, პრაქტიკა, ანალიზი, სწავლა, კომუნიკაცია, ეთიკა, კვლევა.

**ცოდნა**
ბაკალავრი ფლობს ფართო ცოდნას ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის შესახებ. იცნობს ტერმინოლოგიას, იცნობს და აცნობიერებს პრობლემატიკას, აღწერს ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, კონცეფციებსა და თეორიებს, იაზრებს სფეროსთვის დამახასიათებელ თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, ერკვევა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგების სტრუქტურასა და თემატიკაში. გარდა ამისა, ის საფუძვლიანად იცნობს ფსიქოლოგიის სფეროში დამკვიდრებულ კვლევის მეთოდებს.

**პრაქტიკა**

ბაკალავრი იყენებს შესაბამის თეორიულ ცოდნას, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. ის ახდენს წარმოსახული ან რეალური შემთხვევების/სიტუაციების იდენტიფიკაციას, უსადაგებს მათ მიღებულ თეორიულ ცოდნას და ადგენს პრობლემების გადაჭრის გზებს და მეთოდებს. შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

**ანალიზი**

ბაკალავრი იცნობს აბსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების წესებს, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური ლოგიკის კანონზომიერებებს. აღნიშნული მას საშუალებას აძლევს მოახდინოს ნასწავლი თეორიული მიდგომებისა და მოდელების შეფასება მათი ურთიერთშედარებისა და ძლიერი და სუსტი მხარებიის დადგენის გზით, აგრეთვე, მოახდინოს მეცნიერებაში დაგროვებული ემპირიული მასალის კრიტიკული შეფასება.

**სწავლა**

ბაკალავრს შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა, რათა ეკონომიურად დახარჯოს დრო და ენერგია მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. გარდა ამისა, ის განსაზღვრავს საკუთარ სუსტ მხარეებს და მათ გამოსასწორებლად შესაბამის ზომებს მიმართავს. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრი გეგმავს სამომავლო კარიერულ განვითარებას.

**კომუნიკაცია**

ბაკალავრს განვითარებული აქვს წერითი და ზეპირი კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ–ჩვევები. მას შეუძლია გააკეთოს ზეპირი პრეზენტაციები ფსიქოლოგიის თემატიკის გარშემო პროფესიონალთა და არაპროფესიონალთა წინაშე, აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ეთიკა**

ბაკალავრი აცნობიერებს და იცავს ეთიკური ქცევის პრინციპებს, რაც გამოიხატება საავტორო უფლებების დაცვასა და კამათის კორექტულად წარმართვაში. კვლევის დაგეგმვისას და ჩატარებისას იცავს შესაბამის ეთიკურ სტანდარტებს. აღიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

**კვლევა**

ხელმძღვანელის/ლექტორის სუპერვიზიის პირობებში, ბაკალავრი იძენს იმ უნარ–ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ფსიქლოგიის დარგში კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. კერძოდ, სწავლობს საკვლევი საკითხის შერჩევას, ლიტერატურის მოძიებას, შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევას და კვლევის განხორციელებას, რაც განსხვავებული სიღრმითა და მასშტაბით გათვალისწინებულია სხვადასხვა კურსის ფარგლებში, ხოლო საბოლოო სახეს იღებს დასკვნითი სასწავლო პროექტის დიზაინის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში.

**მიზნებისა და შედეგობრივი მაჩვენებლების რუკა 1/მატრიცა**

| მიზნები/შედეგები | შედეგი 1 ცოდნა | შედეგი 2 პრაქტიკა | შედეგი 3 ანალიზი | შედეგი 4 სწავლა | შედეგი 5 კომუნიკაცია | შედეგი 6 ეთიკა | შედეგი 7 კვლევის დაგეგმვა და განხორციელება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოლოგიის საბაზისო დარგები | ✔ | | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფსიქოლოგიის გამოყენებითი დარგები** | ✔ | | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | |
| **კვლევის მეთოდები** | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | √ |
| **კვლევის დაგეგმვის და განხორციელების უნარ-ჩვევების შემუშავება** | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ | ✔ |
| **პროფესიული ეთიკა** | ✔ | ✔ | | ✔ | | ✔ | |

**სწავლება-სწავლის მეთოდები:**

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება

☒ სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს – შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

**შეფასების სისტემა უშვებს**
<u>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</u>
(A) ფრიადი – შეფასების 91–100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა.

<u>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</u>
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX–ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F–0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

**დასაქმების სფერო:**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიულ საქმიანობას ფსიქოლოგიის (ზოგადი, სოციალური, იურიდიული, ორგანიზაციული და პოლიტიკური) სფეროში და/ან ნებისმიერ იმ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში, რომლის ეფექტური ფუნქციონირება ფსიქოლოგიის ცოდნას მოითხოვს (მაგალითად,დევიაციისა და დანაშაულობის პრევენცია/კორექცია და სხვა.). პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, ისევე როგორც პრაქტიკული გამოცდილება, კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას დაიწყონ წარმატებული კარიერა ფსიქოლოგიურ სფეროში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფსიქოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი -** ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ—გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

თინათინ ჩხეიძე
ასოცირებული პროფესორი

გორგასალის ქ. #101
თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 23 04 25
e-Mail: t.chkheidze@gipa.ge

## ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდე სასწავ დატვირ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | **სავალდებულო ზოგადი საგნები** | **25** | **27** | | | | | | | | |
| 1. | SSakw103 | არ გააჩნია | აკადემიური წერა | 4/100 | | | | | | | | 32 | |
| 2. | SSap500 | არ გააჩნია | ავტორები და პერსონაჟები | 6/150 | | | | | | | | 48 | |
| 3. | SShp501 | არ გააჩნია | ისტორიული პიროვნებები | 6/150 | | | | | | | | 45 | |
| 4. | Sspkal07 | არ გააჩნია | პრე-კალკულუსი | 4/100 | | | | | | | | 32 | |
| 5. | SSkompun014 | არ გააჩნია | კომპიუტერული უნარები | 5/125 | | | | | | | | 32 | |
| 6. | SSfsik111 | არ გააჩნია | ფსიქოლოგიის საფუძვლები | | 6/150 | | | | | | | 42 | |
| 7. | SSsocs114 | არ გააჩნია | შესავალი სოციოლოგიაში | | 6/150 | | | | | | | 42 | |
| 8. | SSfils113 | არ გააჩნია | შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | | 6/150 | | | | | | | 42 | |
| 9. | SSkoun700 | არ გააჩნია | კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები | | 5/125 | | | | | | | 32 | |
| 10. | SSsamok109 | არ გააჩნია | სამოქალაქო განათლება | | 4/100 | | | | | | | 32 | |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი** | **5** | **5** | **5** | | | | | | | |
| 1. | SSeng100 | არ გააჩნია | ინგლისური ენა 1 | 5/125 | | | | | | | | 48 | |
| 2. | SSeng101 | SSeng100 | ინგლისური ენა 2 | | 5/125 | | | | | | | 48 | |
| 3. | SSeng102 | SSeng101 | ინგლისური ენა 3 | | | 5/150 | | | | | | 48 | |
| | | | **სპეციალობის სავალდებულო საგნები** | | | **21** | **22** | **22** | **26** | **26** | **20** | | |
| 1. | SShpsy506 | SSfsik111 | ფსიქოლოგიის ისტორია | | | 6/150 | | | | | | 48 | |
| 2. | SScogpsy507 | SSfsik111 | კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | | | 6/150 | | | | | | 48 | |

[1] კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. | SScogpsy507A | SScogpsy507 | კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | | | | 6/150 | | | | | 42 | |
| 4. | SSstat202 | არ გააჩნია | სტატისტიკა 1 | | | 4/100 | | | | | | 32 | |
| 5. | SSgend519 | SSfsik111 | გენდერის ფსიქოლოგია | | | 5/125 | | | | | | 32 | |
| 6. | SSstat203 | SSstat202 | სტატისტიკა 2 | | | | 4/100 | | | | | 32 | |
| 7. | SSctr512 | SShpsy506 | ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები | | | | 6/150 | | | | | 45 | |
| 8. | SSsocpsy510 | SSfsik111 | სოციალური ფსიქოლოგია 1 | | | | 6/150 | | | | | 48 | |
| 9. | SSbet532 | SScogpsy507 | ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში | | | | | 6/150 | | | | 48 | |
| 10. | SSsocpsy511 | Ssocpsy510 | სოციალური ფსიქოლოგია 2 | | | | | 6/150 | | | | 48 | |
| 11. | SSbp513 | SSfsik111 | პიროვნების ფსიქოლოგია 1 | | | | | 5/125 | | | | 35 | |
| 12. | SSset515 | SSfsik111 | განწყობის ფსიქოლოგია 1 | | | | | | 5/125 | | | 48 | |
| 13. | SSrmpsy509 | არ გააჩნია | კვლევის მეთოდები 1 | | | | | 5/125 | | | | 50 | |
| 14. | SSbp514 | SSbp513<br>SSfsik111 | პიროვნების ფსიქოლოგია 2 | | | | | | 5/125 | | | 35 | |
| 15. | SSset516 | SSset515 | განწყობის ფსიქოლოგია 2 | | | | | | | 5/125 | | 48 | |
| 16. | SSrmpsy510 | SSrmpsy509 | კვლევის მეთოდები 2 | | | | | | 5/125 | | | 50 | |
| 17. | SSorgps525 | არ გააჩნია | ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია | | | | | | 6/150 | | | 48 | |
| 18. | SSeps521 | SSfsik111 | ევოლუციური ფსიქოლოგიის შესავალი | | | | | | 5/125 | | | 34 | |
| 19. | SSdevpsy528 | SSfsik111 | განვითარების ფსიქოლოგია | | | | | | | 5/125 | | 32 | |
| 20. | SShrm214 | არ გააჩნია | ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები | | | | | | | 5/125 | | 32 | |
| 21. | SSjups526 | SSfsik111 | დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია | | | | | | | 5/125 | | 42 | |
| 22. | SSpolps527 | SSfsik111<br>SSsocpsy510<br>SSsocpsy511 | პოლიტიკური ფსიქოლოგია | | | | | | | 6/150 | | 48 | |
| 23. | SSedpsy520 | SSdevpsy528 | განათლების ფსიქოლოგია | | | | | | | | 5/125 | 32 | |
| 24. | SSpatopsiq621 | SSfsik111<br>SShpsy506 | პათოფსიქოლოგია | | | | | | | | 5/125 | 32 | |
| 25. | SSprps531 | 230 ECTS | დასკვნითი სასწავლო პროექტი | | | | | | | | 10/250 | 64 | |
| | | | **სპეციალობის არჩევითი საგნები** | | | **6** | **6** | **6** | **6** | **6** | **6** | | |
| 1. | SSclst600 | არ გააჩნია | კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | | | 6/150 | | | | | | 48 | |
| 2. | SSqualrm604 | არ გააჩნია | თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში | | | 6/150 | | | | | | 45 | |
| 3. | SSpsling529 | Sscogpsy507 | ფსიქოლინგვისტიკა | | | | 6/150 | | | | | 32 | |
| 4. | Ssqualprac605 | SSqualrm604 | თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | | | | 6/150 | | | | | 45 | |
| 5. | SSidiag517 | არ გააჩნია | შესავალი ფსიქოდიაგნოსტიკაში | | | | | 6/150 | | | | 48 | |
| 6. | SSmst610 | არ გააჩნია | თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები | | | | | 6/150 | | | | 48 | |
| 7. | SScouns524 | არ გააჩნია | ფსიქოლოგიური კონსულტაცია | | | | | | 6/150 | | | 42 | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. | SSpcam615 | SSsocs114 | პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა | | | | | | 6/150 | | | 48 |
| 9. | SSclpsy522 | არ გააჩნია | კლინიკური ფსიქოლოგია | | | | | | | 6/150 | | 42 |
| 10. | SSexistps615 | არ გააჩნია | ეგზისტენციალური ფსიქოლოგია | | | | | | | 6/150 | | 42 |
| 11. | SSpsant514 | SSfsik111 | ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია | | | | | | | | 6/150 | 32 |
| 12. | SSnps527 | SScogpsy507 | ნეიროფსიქოლოგია | | | | | | | | 6/150 | 42 |
| | | | **სემესტრში** | **30** | **32** | **32** | **28** | **27** | **32** | **32** | **27** | |
| | | | **წელიწადში** | **62** | | **60** | | **59** | | **59** | | |

# სწავლების შედეგების რუკა

| № | საგნის კოდი | მოდული/საგანი | კომპეტენციები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| | | **სავალდებულო ზოგადი საგნები** | | | | | | |
| 1. | Ssakw103 | აკადემიური წერა | X | X | X | | X | X |
| 2. | SSap500 | ავტორები და პერსონაჟები | X | | X | | | X |
| 3. | SShp501 | ისტორიული პიროვნებები | X | X | X | X | X | X |
| 4. | Sskal002 | პრე-კალკულუსი | X | X | X | | X | |
| 5. | SSkompun014 | კომპიუტერული უნარები | X | X | | | | |
| 6. | SSfsik111 | ფსიქოლოგიის საფუძვლები | X | X | X | | | X |
| 7. | SSsocs114 | შესავალი სოციოლოგიაში | X | X | | | | X |
| 8. | SSfils113 | შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | X | X | X | X | | X |
| 9. | SSkoun700 | კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები | X | X | | X | | X |
| 10. | SSsamok109 | სამოქალაქო განათლება | X | X | X | X | X | X |
| | | **ინგლისური ენის კომპონენტი** | | | | | | |
| 1. | SSeng100 | ინგლისური ენა 1 | X | X | | X | X | |
| 2. | SSeng101 | ინგლისური ენა 2 | X | X | | X | X | |
| 3. | SSeng102 | ინგლისური ენა 3 | X | X | | X | X | |
| | | **სპეციალობის სავალდებულო საგნები** | | | | | | |
| 1. | SShpsy506 | ფსიქოლოგიის ისტორია | X | X | | | X | X |
| 2. | SScogpsy507 | კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | X | X | X | X | X | |
| 3. | SScogpsy507A | კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | X | X | | X | X | |
| 4. | SSrmpsy509 | კვლევის მეთოდები 1 | X | X | X | X | X | X |
| 5. | SSrmpsy510 | კვლევის მეთოდები 2 | X | X | X | X | X | X |
| 6. | SSstat202 | სტატისტიკა 1 | X | X | X | X | X | X |
| 7. | SSstat203 | სტატისტიკა 2 | X | X | X | X | X | X |
| 8. | SSctr512 | ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები | X | X | X | | | |
| 9. | SSsocpsy510 | სოციალური ფსიქოლოგია 1 | X | X | X | | | X |
| 10. | SSsocpsy511 | სოციალური ფსიქოლოგია 2 | X | X | X | | | X |
| 11. | SSdevpsy528 | განვითარების ფსიქოლოგია | X | X | X | X | X | X |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12. | SSeps521 | ევოლუციური ფსიქოლოგიის შესავალი | X | | X | | | X |
| 13. | SSset515 | განწყობის ფსიქოლოგია 1 | X | X | X | X | X | X |
| 14. | SSset516 | განწყობის ფსიქოლოგია 2 | X | X | X | X | X | X |
| 15. | SSbp513 | პიროვნების ფსიქოლოგია 1 | X | X | X | X | | X |
| 16. | SSbp514 | პიროვნების ფსიქოლოგია 2 | X | X | X | X | | X |
| 17. | SSedpsy520 | განათლების ფსიქოლოგია | X | X | X | X | X | X |
| 18. | SSgend519 | გენდერის ფსიქოლოგია | X | X | | | X | X |
| 19. | SSorgps525 | ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია | X | X | X | | | X |
| 20. | SShrm214 | ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები | X | X | X | X | X | X |
| 21. | SSjups526 | დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია | X | X | X | X | X | X |
| 22. | SSpolps527 | პოლიტიკური ფსიქოლოგია | X | | X | | | X |
| 23. | **SSbet532** | ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში | X | X | X | X | X | X |
| 24. | SSpatopsiq621 | პათოფსიქოლოგია | X | X | X | | X | |
| 25 | SSprps531 | დასკვნითი სასწავლო პროექტი | X | X | X | X | X | X |
| | | **სპეციალობის არჩევითი საგნები** | | | | | | |
| 1. | SSclst600 | კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | X | X | X | X | X | X |
| 2. | SSqualrm604 | თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში | X | X | | X | X | X |
| 3. | SSqualprc605 | თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი | X | X | X | X | X | X |
| 4. | SSidiag517 | შესავალი ფსიქოდიაგნოსტიკაში | X | X | X | X | | X |
| 5. | SSmst610 | თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები | X | X | | | | X |
| 6. | SSpcam615 | პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა | X | X | X | X | X | X |
| 7. | SScouns524 | ფსიქოლოგიური კონსულტაცია | | X | | X | X | X |
| 8. | SSclpsy522 | კლინიკური ფსიქოლოგია | X | X | | | X | |
| 9. | SSexistps615 | ეგზისტენციალური ფსიქოლოგია | X | | X | | | X |
| 10. | SSnps527 | ნეიროფსიქოლოგია | X | X | X | | | X |
| 11. | SSpsling529 | ფსიქოლინგვისტიკა | X | X | | | X | |
| 12. | SSpsant514 | ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია | X | X | | X | | |

## სწავლის შედეგების რუკა #2

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით. პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I (Introduction), რაც გულისხმობს შედეგზე გასვლას დაწყებით დონეზე, D (Development) – შედეგზე გასვლას შედარებით მაღალ ანუ საშუალო დონეზე და A (Advanced) – შედეგზე გასვლას საბაკალავრო სწავლების საფეხურის ყველაზე მაღალ დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი (სამიზნე ნიშნულები – სტუდენტები). შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ, როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. ცხრილში, ასევე, მოცემულია ნიშნულების სვეტი (სამიზნე ნიშნულები – ქულები). აღნიშნული ნიშნულები ასახავს საგანში სტუდენტების მიერ მიღებული დადებითი შეფასებების არითმეტიკული საშუალოს გამოთვლის მეთოდით. ნიშნულების გამოთვლა ეფუძნება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის

მოლოდინებზე, კურსების სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 20%-ს. რუკის ანალიზში გამოყენებულია მხოლოდ სავალდებულო საგნები.

| შედეგები/საგნები | სამიზნე ნიშნულები - სტუდენტები | სამიზნე ნიშნულები - ქულები | შედეგი 1 ცოდნა | შედეგი 2 პრაქტიკა | შედეგი 3 ანალიზი | შედეგი 4 სწავლა | შედეგი 5 კომუნიკაცია | შედეგი 6 ეთიკა | შედეგი 7 კვლევა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ისტორიული პიროვნებები | 70% | 75% | I | I | I | I | I | I | |
| ავტორები და პერსონაჟები | 80% | 80% | I | | I | | | I | |
| სამოქალაქო განათლება | 75% | 75% | I | I | I | I | I | A | I |
| შესავალი სოციოლოგიაში | 75% | 70% | I | I | I | | | I | |
| შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში | 72% | 70% | I | I | I | | I | D | |
| ფსიქოლოგიის საფუძვლები | 75% | 80% | I | | I | | | I | |
| კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები | 80% | 80% | I | I | | | A | D | |
| პრე-კალკულუსი | 65% | 60% | I | I | I | I | | | |
| აკადემიური წერა | 80% | 80% | I | I | I | I | | D | I |
| კომპიუტერული უნარები | 70% | 65% | I | I | I | I | I | I | |
| ინგლისური ენა 1 | 84% | 80% | D | D | | D | D | | |
| ინგლისური ენა 2 | 85% | 80% | D | D | | D | A | | |
| ინგლისური ენა 3 | 85% | 80% | A | A | | A | A | | |

| ფსიქოლოგიის საბაზისო დარგები | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფსიქოლოგიის ისტორია | 86% | 75% | D | | D | D | A | D | |
| კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | 70% | 75% | D | I | D | D | A | | |
| კოგნიტური ფსიქოლოგია  2 | 65% | | A | D | A | A | A | | |
| გენდერის ფსიქოლოგია | 75% | 70% | D | D | | A | | A | |
| ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები | 75% | 70% | A | D | A | | | | |
| სოციალური ფსიქოლოგია 1 | 85% | 80% | D | I | D | | | A | |
| ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში | 71% | 65% | A | D | A | A | A | A | |
| სოციალური ფსიქოლოგია 2 | 85% | 80% | A | D | A | | | A | D |
| პიროვნების ფსიქოლოგია 1 | 75% | 75% | D | I | D | | A | D | |
| პიროვნების ფსიქოლოგია 2 | 75% | 75% | A | D | A | | A | A | |
| განწყობის ფსიქოლოგია 1 | 71% | 70% | D | I | D | D | A | D | |
| განწყობის ფსიქოლოგია 2 | 71% | 70% | A | D | D | A | A | A | |
| ევოლუციური ფსიქოლოგიის შესავალი | 80% | 80% | D | | A | | | A | |
| განვითარების ფსიქოლოგია | 80% | 75% | D | I | D | D | A | A | |
| ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია | 80% | 80% | I | I | D | | | A | |
| ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები | 85% | 80% | I | D | D | A | A | A | |
| დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია | 63% | 65% | D | D | A | A | A | A | |
| პოლიტიკური ფსიქოლოგია | 73% | 75% | D | | A | | | A | |
| განათლების ფსიქოლოგია | 75% | 80% | D | D | A | A | A | A | |
| პათოფსიქოლოგია | 75% | 75% | I | I | A | | A | | |
| სტატისტიკა 1 | 64% | 70% | I | I | D | | D | | |
| სტატისტიკა  2 | 64% | 70% | D | D | A | | A | | |
| კვლევის მეთოდები 1 | 64% | 80% | I | I | D | D | A | A | D |
| კვლევის მეთოდები 2 | 64% | 80% | D | D | A | A | A | A | A |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასკვნითი სასწავლო პროექტი | 80% | 75% | A | A | A | A | A | A | A |

**პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები:**

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის 7 შედეგისთვის ნიშნულების შეფასება ხდება დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგების საფუძველზე. დასკვნითი სასწავლო პროექტის საფუძველზე დგინდება, რამდენად მიაღწია სტუდენტმა კონკრეტულ შედეგს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მითითებულია კონკრეტულ შედეგზე რა დონეზე გადის დასკვნითი სასწავლო პროექტი (D (Development) – საშუალო დონე და A (Advanced)) და როგორია მისი წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში. რაც შეეხება სწავლის შედეგების ზოგად სამიზნე ნიშნულებს, ისინი ასე გამოიყურება: ქულების სამიზნე ნიშნული – 71%, ხოლო სტუდენტების –80%. რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის მოლოდინით სტუდენტების 80%-მა დასკვნით სასწავლო პროექტში არანაკლებ 71 ქულა უნდა მიიღოს.

| საგანი/ მოდული | შედეგი 1 – ცოდნა | წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში | შედეგი 2 – პრაქტიკა | წილი მთლიანი შედეგისმიღ | შედეგი 3 ანალიზი | წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში | შედეგი 4 სწავლა | წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში | შედეგი 5 კომუნიკაცია | წილი მთლიანი შედეგისმიღ | შედეგი 6 ეთიკა | წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში | შედეგი 7 კვლევა | წილი მთლიანი შედეგის მიღწევაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | წ ე ვ ა შ ი | | | | | | წ ე ვ ა შ ი | | | | |
| დასკვნითი სასწავლო პროექტი | A | 15% | A | 15 % | A | 20% | A | 10% | A | 10 % | A | 10% | A | 20% |

დანართი №1

# პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
# (CURRICULUM VITAE)

| | |
|---|---|
| **სახელი, გვარი** | თინა ჩხეიძე |
| **თანამდებობა** | ასოცირებული პროფესორი |
| **სამუშაო ადგილი** | GIPA |
| **საკონტაქტო ინფორმაცია** | ტელეფონი: 599230425 ელ-ფოსტა: t.chkheidze@gipa.ge |
| **დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები** | ნაშრომის თემა: ცნობიერების მონაწილეობა წინააღმდეგობის მოხსნაში სოციალურ განწყობებს შორის SSnps527 |
| **პუბლიკაციები** | • ცნობიერების მონაწილეობა კონსისტენტობის აღდგენაში ატიტუდებს შორის. სტატია ჟურნალისათვის 'მაცნე'. (ბეჭდვაში)<br>• Nadareishvili V. Chkheidze T. Legal culture and legal consciousness in terms of set and attitude. European Scientific Journal. 2015<br>• Nadareishvili V. Chkheidze T. Normative and Deviant Behavior in Terms of D. Uznadze Set Theory Based Strain Model. European Scientific Journal.. Vol 2. 2013<br>• მაიკლ გელდერი, პოლ ჰარისონი, ფილიპ კოუენი. ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. (თარგმანი ინგლისურიდან. ფსიქიატრიულ ტერმინოლოგიაზე მუშაობა: ქართული ფსიქიატრიული ტერმინოლოგიის და ცნებითი აპარატის დადგენა). 2012<br>• სამართალი და ფსიქოლოგია. (თანაავტორი ვახტანგ ნადარეიშვილი) მაცნე #1. 2008<br>• სიტუაციური ლიდერობა. მაცნე #1. 2007<br>• მტრის ხატი. მაცნე #1. 2006 |

დანართი №2

## ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

| № | სახელი და გვარი | სტატუსი | სასწავლო კურსი |
|---|---|---|---|
| 1. | ჯეფრი მორსკი | მოწვეული ლექტორი | • ინგლისური ენა 1<br>• ინგლისური ენა 2<br>• ინგლისური ენა 3 |
| 2. | თემურ  კობახიძე | მოწვეული ლექტორი | • ავტორები და პერსონაჟები |
| 3. | ნინო ჩარექიშვილი | პროფესორი | • ისტორიული პიროვნებები |
| 4. | მიხეილ ნიკოლეიშვილი | პროფესორი | • პრე-კალკულუსი |
| 5. | ვანო ცერცვაძე | პროფესორი | • კომპიუტერული უნარები |
| 6. | თინა ნორაკიძე | ასისტენტი | • სამოქალაქო განათლება |
| 7. | მარიამ ალანია | ასისტენტ პროფესორი | • ფსიქოლოგიის საფუძვლები<br>• განვითარების ფსიქოლოგია |
| 8. | ირაკლი იმედაძე | მოწვეული ლექტორი | • ფსიქოლოგიის ისტორია<br>• ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები |
| 9. | თეონა მატარაძე | მოწვეული ლექტორი | • შესავალი სოციოლოგიაში<br>• თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში<br>• თვისებრივი კვლევის პრაქტიკული კურსი |
| 10. | შოთა ვაშაყმაძე | მოწვეული ლექტორი | • შესავალი სოციოლოგიაში |
| 11. | გიორგი შუბითიძე | ასისტენტი | • კლასიკური სოციოლოგიური თეორიები<br>• თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები |

| | | | |
|---|---|---|---|
| 12. | ქეთევან მუხიგული | ასოცირებული პროფესორი | • შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში |
| 13. | მარიამ დავითაშვილი | მოწვეული ლექტორი | • კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები |
| 14. | ელენე ერისთავი | მოწვეული ლექტორი | • კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები |
| 15. | სალომე ღუმბაძე | ასისტენტი | • აკადემიური წერა |
| 16. | დალი ფარჯანაძე | მოწვეული ლექტორი | • კოგნიტური ფსიქოლოგია 1<br>• კოგნიტური ფსიქოლოგია 2 |
| 17. | ვახტანგ ნადარეიშვილი | მოწვეული ლექტორი | • ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში<br>• განწყობის ფსიქოლოგია 1<br>• განწყობის ფსიქოლოგია 2<br>• დევიაციური ქცევა და იურიდიული ფსიქოლოგია |
| 18. | მარიამ სეხნიაშვილი | ასისტენტ პროფესორი | • კვლევის მეთოდები 1<br>• კვლევის მეთოდები 2 |
| 19. | რატი შუბლაძე | ასისტენტი | • სტატისტიკა 1<br>• სტატისტიკა 2 |
| 20. | თინათინ ჩხეიძე | ასოცირებული პროფესორი | • სოციალური ფსიქოლოგია 1<br>• სოციალური ფსიქოლოგია 2 |
| 21. | თამარ კერძაია | მოწვეული ლექტორი | • განათლების ფსიქოლოგია |
| 22. | დალი ბერეკაშვილი | მოწვეული ლექტორი | • ევოლუციური ფსიქოლოგიის შესავალი |
| 23. | რამაზ საყვარელიძე | მოწვეული ლექტორი | • პიროვნების ფსიქოლოგია 1<br>• პოლიტიკური ფსიქოლოგია<br>• პიროვნების ფსიქოლოგია 2 |
| 24. | ნანა ბერეკაშვილი | ასოცირებული პროფესორი | • გენდერის ფსიქოლოგია |
| 25. | თამარ ტურაშვილი | მოწვეული ლეტორი | • ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები<br>• ორგანიზაციის და მართვის ფსიქოლოგია |
| 26. | მანანა გაბაშვილი | პროფესორი | • ფსიქოლინგვისტიკა<br>• ნეიროფსიქოლოგია |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | • კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები |
| 27. | თინათინ ხომერიკი | ასისტენტი | • ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია |
| 28. | რუსუდან მხეიძე | მოწვეული ლექტორი | • შესავალი ფსიქოდიაგნოსტიკაში |
| 29. | რევაზ ჯორბენაძე | მოწვეული ლექტორი | • პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და მართვა |
| 30. | ნათია ბადრიშვილი | მოწვეული ლექტორი | • კლინიკური ფსიქოლოგია |
| 31. | მზეანა გომელაური | პროფესორი | • ეგზისტენციალური ფსიქოლოგია |
| 32. | თეიმურაზ ბჟალავა | ასოცირებული პროფესორი | • პიროვნების ფსიქოლოგია 2<br>• პათოფსიქოლოგია |
| 33. | თინათინ ფანცულაია | მოწვეული ლექტორი | • ფსიქოლოგიური კონსულტაცია |